განკარგულება:**გ-87. 87241226**
თარიღი:**01/05/2024**

განკარგულება №23

საგრანტო პროექტის „შემოქმედებითი კომპასი“ განსახორციელებლად „გოეთეს ინსტიტუტის ფილიალისგან საქართველოში“ (ს/ნ - 404599939) გრანტის მისაღებად წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) „გოეთეს ინსტიტუტის ფილიალის საქართველოში“ (ს/ნ - 404599939) მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „შემოქმედებითი კომპასი“ განსახორციელებლად აღნიშნული დონორისაგან მიიღოს გრანტი 5000 (ხუთი ათასი) ევროს ოდენობით, რომლის ფარგლებში მოხდება ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული კულტურის სახლების და ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების ფიზიკური აღნუსხვა, ფოტოგადაღება და საინვესტიციო წინადადებების მომზადება;

ბ) ამ მიზნით შეასრულოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებით, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებები.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას და საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.akhmeta.gov.ge, ასევე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქუჩა №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი